საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/167

ქ. ბათუმი 01 ოქტომბერი, 2021 წ.

ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, **„იზოლაციისა და კარანტინის წესების** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის **2021 წლის 30 სექტემბრის N481 დადგენილებით** შეტანილი ცვლილების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, **,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის** დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების, ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის N01-02/149 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №06-01/80 დადგენილების, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის** NMES 0 21 0001011252 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში (N322, 23.05.2020) 2021 წლის 30 სექტემბერს შესული ცვლილების გათვალისწინებით **2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი** ნაცვლად 2021 წლის 4 ოქტომბრისა, დაიწყოს **11 ოქტომბერს,** შერეული (ჰიბრიდული) ფორმატით, შემდეგნაირად:
   ა) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე - **სრულად დისტანციურად** (ელექტრონულად);
   ბ) **უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე** (საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე) - **შერეული (ჰიბრიდული)**

ფორმატით, კერძოდ, დისტანციურად მხოლოდ ლექციები, ხოლო **საუნივერსიტეტო სივრცეში** - ჯგუფში მუშაობა/ პრაქტიკული/ლაბორატორიული;

გ) ჯანდაცვის მიმართულების იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე (**მედიცინის,** სტომატოლოგიის, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის), რომელთა სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს პაციენტთან კონტაქტს, კლინიკური სწავლების არადისტანციურ რეჟიმში განხორციელებისას **პერსონალი და სტუდენტი დაიშვება მხოლოდ** იმ **შემთხვევაში,** თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას: ა) სრულად ვაქცინირებულია; ბ) უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ; გ) ახალი კორონავირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

2. ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებაში (N322, 23.05.2020) 2021 წლის 30 სექტემბერს შესული ცვლილების გათვალისწინებით შევიდეს ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს N06-01/80 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს **2021-2022 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში"** და იგი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს **2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) **ცხრილის შედგენა** და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

4. დამტკიცდეს **,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი"** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ვლადიმერ ღლონტი** (ჯგუფის ხელმძღვანელი) - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ბ) **მერაბ დიასამიძე** (ჯგუფის უფროსის მოადგილე) - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი;

გ) **ამირან შარაძე** (წევრი) - სასწავლო პროცესის დეპარტამენტს სტუდენტთა ელექტრონული რესურსების სამსახურის უფროსი;

დ) **ზვიად ბერაძე** (წევრი) - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ე) ბსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, წევრები: **ასიე ცინცაძე, თეა ქოიავა, ირაკლი გორგილაძე, ჟუჟუნა გუმბარიძე და ნანი მამულაძე, ირაკლი კორძაია.**

5. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოს:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებისათვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების და ელექტრონული სწავლების განხორციელების ინსტრუქციის გაცნობის ორგანიზება;

ბ) შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამებზე ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგი;
გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს - წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვის შესახებ ბსუ-ს რექტორისათვის სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ასევე დაწყებიდან - ყოველი სამუშაო კვირის ბოლოს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა.

6. **სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს** (აკადემიური/მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალი) დაევალოს გაეცნოს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,სტუდენტის გზამკვლევში") განთავსებულ სამართლებრივ აქტებს და შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მიწოდებულ ელექტრონული სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ ინსტრუქციას და დროულად განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება (სალექციო მასალებისა და დავალების ატვირთვა, დავალების შემოწმება და უკუგება განსაზღვრულ დროში).
7. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა.
8. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი") და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს და პერსონალს.
9. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
10. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ,,ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს", დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 ოქტომბრის
N01-02/167 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი
(გარდა ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამისა)

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესი **2021-2022 სასწავლო წელს** წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

ა) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები / ჯგუფში მუშაობა / სემინარები / ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) დაიწყოს **2021 წლის 11 ოქტომბერს** და დასრულდეს **2022 წლის 29 იანვარს;**

ბ) 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2021 წლის 10 ოქტომბერს;

დ) საშობაო არდადეგები - 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია - 2022 წლის 31 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 21 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა - 2022 წლის 28 თებერვალი - 13 მარტი;

ზ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს **2022 წლის 14 მარტს** და დასრულდეს **2022 წლის 26 ივნისს.**

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 27 ივნისიდან 17 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2022 წლის 25 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისების მეშვეობით მიწოდებული ინსტრუქციით (არანაკლებ 40 წთ-ით, სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით).